

კაროჟნა, ნატალია, ირინე და სხვები ქართულ თეატრში

თამარ ქუთათელაძე

საკვანძო სიტყვები: დრამა, დავით კლდიაშვილი, ინტერპრეტაცია, თეატრი

ღავით კლდიაშვილი უნიკალური მოვლენაა ქართული კლასიკური დრამატურგიის ისტორიაში. მან ახალი ეპოქა დაიწყო ქართულ დრამატურგიაში, რაც მოგვიანებით „ახალი დრამის“ სახელით იქნა ცნობილი. კრიტიკოსების შეფასებებით დავით კლდიაშვილის პიესებში სრულიად ახალი ხასიათებია შექმნილი. ქალთა სახეები კი სიზუსტით წარმოაჩენს მისი დროის ქართველი ქალის ბედს, ფსიქოლოგიას, ფარულ ზრახვებს, ამბოხსა და ბრძოლას საკუთარი ღირსების დასაცავად.

დავით კლდიაშვილის პიესები თითქმის ყველაზე დადგმად კატეგორიას განეკუთვნება. იგი ყველა თეატრში დადგა სხვადასხვა თაობის რეჟისორმა. დროს მუდმივად შეჭმონდა კორექტივები სახელოვანი დრამატურგის პიესების სასცენო გააზრებაში. მას დგამდნენ ვოდვეილური ჟანრიდან ტრაგიფარსამდე. ნაშრომში შევარჩიე სხვადასხვა დროსა და თეატრში დ. კლდიაშვილის „ირინეს ბედნიერებასა“ და „დარისპანის გასაჭირის“ დადგმებში შექმნილ ქალთა სახეების გამორჩეული სასცენო ინტერპრეტაციები.

დავით კლდიაშვილის პირველი პიესა „ირინეს ბედნიერება“ გამოქვეყნდა 1897 წელს. მას აქტიურად გამოეხმაურნენ რეცენზენტები. თითქმის ყველა აღიარებდა, რომ „ეს პიესა არ ჰგავდა სხვა ქართულ პიესებს“. ი. ნაკაშიძე წერდა, რომ დ. კლდიაშვილი მწერალთა იმ მცირე რიცხვს ეკუთვნის, „რომელთაც ორიგინალობის ბეჭედი ატყვიათ... გაზაფხულს გვიქადაიან“¹. ხომლელის ფსევდონიმით ცნობილი მიომხილველი „შესანიშნავ დრამატულ პიესას“ უწოდებდა „ირინეს ბედნიერებას“².

კლდიაშვილამდელი ქართული დრამატურგია,

მართლაც, არ იცნობდა ასეთ ხასიათებს. პიესის ცენტრალური პერსონაჟი აბესალო სრულიად ახალი ფსიქოტიპია, შინაგანი წინააღმდეგობებით აღსავსე, დრამატული განცდების მქონე. ირინეც ახალი სახეა, ყავლგასული ტრადიციებისა და ქალის დაკნინებული მდგომარეობის მსხვერპლი. ირინესა და აბესალოს ქორწინებას მწერალი ირონიულად უწოდებს „ირინეს ბედნიერებას“, რადგან ეს „ბედნიერება“ მალე უბედურებად შემოტრიალდება, მაგრამ სწორედ ამ პროცესში აღმოაჩნდება ირინეს ძალა და ნება – გააპროტესტოს თავისი ხვედრი, ხმა აღიმალლოს მოძალადე მეუღლის შეუვალი ავტორიტეტის წინააღმდეგ, დაიცვას თავისი შელახული ღირსება.

კარგა ხანს დაუძლეველ ამოცანად რჩებოდა პიესის ტრაგიკომიკური შინაარსისა და ორიგინალური ფორმის ადეკვატური თეატრალური ინტერპრეტაცია. ამის თაობაზე უკმაყოფილო იყო კოტე მარჯანიშვილიც. მას მიაჩნდა, რომ „დავით კლდიაშვილის პიესები სრულიად არ არიან სწორად გაგებულნი ჩვენი დამდგმელების მიერ... ვისაც დ. კლდიაშვილის კომედიებში ტრაგედია ვერ დაუნახავს, მას უფლება არა აქვს იფიქროს, რომ იგი იცინის კლდიაშვილის სიცილით“³.

თავად დავით კლდიაშვილიც უკმაყოფილო იყო მის სიცოცხლეშივე გავრცელებულ, ე.წ. „შემოდგომის აზნაურთა“ გაკიცხვის ტენდენციის გამო. „ჩემს სიცოცხლეში არავისთვის დამიციანია, – წერდა ავტორი, – მებრალეობდა ადამიანი, რომელიც ცხოვრებამ გააუბედურა და სასაცილო მდგომარეობაში ჩააყენა... რასაც ვწერდი, მხოლოდ ადამიანის სიყვარული მაწერიებდა“⁴.

1 კიკნაძე, თეატრი, 1973, გვ. 26.

2 იქვე, გვ. 31.

3 დავით კლდიაშვილი, ქართველი მწერლები სკოლაში, 1988, გვ. 97.

4 კლდიაშვილი, რჩეული პროზა, 1985, გვ. 73.

პირველი ქართველი სახალხო მწერალი აღიარებდა, რომ მისი მიზანი იყო აესახა მხოლოდ სინამდვილე. ტანჯული ადამიანისადმი თანალობით გამსჭვალული, დამდგმელებისგან მოითხოვდა: „მჩაგვრელი სიბნელე იქნეს გამოსახული და ის, რომ მსხვერპლად ეწირება ადამიანი... ერიდეთ... გამოსახოთ ზოგნი მსხვერპლად, ზოგნი მტარვალად; ყველანი მსხვერპლად ეწირებიან შავბნელ ცხოვრებას“.⁵ „ბევრ მკითხველს უცინია ჩემი მოთხოვნების წაკითხვაზე, მე კი მათი დამწერი, გეფიცებით, არა ერთხელ გულამღვრეული მოვშორებივარ მაგიდას და ბედ მიტოვებულ ნაწერს“...⁶

დ. კლდიაშვილის შემოქმედებისათვის მწვავე სატირა და გამანადგურებელი ირონიაც რომ იყო დამახასიათებელი, ამის შესახებ ლეო ქიაჩელი სამართლიანად შენიშნავდა: „დავით კლდიაშვილი საყვარელი მწერალია, მაგრამ ამავე დროს ის სასტიკიც არის... ის თქვენ არ დაგზოგავთ და ნეტარ ღიმილს სახეზე უაღრესი მწუხარებით შეგიცვლით, თუ ცხოვრების სიმართლემ ეს მოითხოვა“.⁷ გერონტი ქიქოძე „სინამდვილის ფანატისკოსს“ უწოდებდა დავით კლდიაშვილს. გრ. რობაქიძე დოსტოევსკის ადარებდა. მას ადარებდნენ გოგოლს, დიკენსს, თეკერისა, თუმცა ცხადია ისიც, რომ დ. კლდიაშვილი უაღრესად ორიგინალური მწერალია და არავის არ ჰგავს.

„ირინეს ბედნიერება“ პირველად 1901 წლის 23 სექტემბერს დაიდგა ვასო აბაშიძის რეჟისორობით მუდმივმოქმედ ქართულ თეატრში. იმავე წლის შემოდგომაზე კი ლადო მესხიშვილმაც წარმოადგინა ქუთაისის თეატრში. თანამედროვე ქართულ თეატრში, „ირინეს ბედნიერების“ საფუძველზე დადგმულ სპექტაკლებს შორის, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს შალვა გაწერელიას, ა. ენუქიძისა და დ. ხვთისიაშვილის სპექტაკლები.

შალვა გაწერელიას „სპექტაკლში მსახიობი თ. ლოლაშვილი ირინეს ამაყ, თავისუფლებისმოყვარე, მებრძოლი ქალის სახეს ქმნიდა. მისი სიყვარულის ძალით მოპოვება შეუძლებელი იყო. ამიტომაც, მამის სიხარბით, შეყვარებულის პასიურობით და საკუთარი უმწეობით შეურაცხყოფილი, პროტესტის ნიშნად

თვითბოლაცისაკენ მიისწრაფოდა“ (მხატ. მ. შველიძე, ქორ. ი. ზარეცკი, კომპ. დ. გურგენიძე, მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი, 1982).⁸

პირველად „ირინეს ბედნიერების“ დადგმათა ისტორიაში, რეჟისორი აბესალოს დრამის თანამგრძნობად ხდიდა მაყურებელს. საბალეტო ხელოვნების ხერხებით დადგმულ აბესალოს ფიქრების ინტროსპექციაში, უგონოდ შეყვარებულ, ეჭვებით თავგზაბნეულ ქმარს ეჩვენებოდა, ყოფილ შეყვარებულთან ცეკვისას გაშიშვლებული ირინე როგორ ღალატობდა და დასცინოდა მას. გულგრილი ცოლისადმი მისი ტანჯვა და მარტოობა იწვევდა გულწრფელ სიბრალულს. მით უფრო რომ ამ სიყვარულს ეწირებოდა კიდევ. მას გული უსკდებოდა.

XX საუკუნის 90-იან წლებში „ირინეს ბედნიერების“ თავისუფალი ინტერპრეტაცია დადგა ა. ენუქიძემ (მხატ. შ. შეყლაშვილი, მუს. გაფ. ლ. სიყმაშვილის, რუსთაველის თეატრი, 1994). სპექტაკლი რევოლუციური სითამამით იყო გამორჩეული. მასში სიახლე იყო სცენაზე მაყურებლის განთავსება და მაყურებლის ეპიცენტრში განვითარებული მოქმედება. კიდევ უფრო მეტი სიახლე აღმოჩნდა პერსონაჟებისა და მაყურებლის როლების შეცვლა წარმოდგენის ფინალში. უკანასკნელ ეპიზოდში იხსნებოდა დახურული ფარდა და რუსთაველის თეატრის დიდი დარბაზიდან, ნ. კასრაძის ირინე თვალყურს ადევნებდა სცენაზე განვითარებულ მოვლენებს. ეს ფაქტი კვლავაც გავრცელებულ ქალთა ტრაგიკულ ხვედრზე მიგვანიშნებდა. იმავდროულად კი სეირის მოყვარე გულგრილ საზოგადოებაზე თავდასხმის წადილსაც ისახავდა მიზნად.

ამ სპექტაკლში „ქუჩის რეალიზმი“ გათამაშდა სცენაზე, რაც სავსებით ასახავდა ჩვენს სინამდვილეს. ბ. პაპუაშვილის აბესალო - ახალი დროის იარაღიანი, თავგებულად დაუსჯელობის სინდრომით გათავხედებული მამლაყინწა იყო. ნინო კასრაძის ირინე ლამის უგონოდ ეტრფოდა მას. აბესალოს ეჭვიანობას მზარდი ვნებით ადევნებდა თვალყურს და მისი მამაკაცური აგრესიაც სულ უფრო უმძაფრებდა მწველ გრძნობას. თუ დრამატურგისეული ირინეს ამბოხი არჩევანი და გაბრძოლება გახლდათ ღირსების

5 კლდიაშვილი, ტ. II, გვ. 81.

6 ქიაჩელი, ტ. II, 1972, გვ. 140.

7 ბარდაველიძე, პროზა, 1981, გვ. 80.

8 შალვა გაწერელია - 80, კრებული, 2011, გვ. 51.

შელახვის წინააღმდეგ, ნ. კასრაძის ირინე გამეფებული უზნეობისა და მოუგერიებელი გრძნობის მსხვერპლი ხდებოდა.

„ირინეს ბედნიერება“ დადგა დიმიტრი ხვთისიაშვილმაც (მხატვ. ლომგულ მურუსიძე, მუს. ვაფ. ზურაბ გაგლოშვილის, ნოდარ დუმბაძის სახ. მოზარდ მაცურებელთა თეატრი, 2013). ერთმომქმედებიან სპექტაკლში სოფლის სასურველ სასიძოდ აღიარებულ აბესალოს დავით ხახიძე თამაშობდა. იგი ჭირვეული, მოქეიფე, აგრესიული ახალგაზრდას პორტრეტს ქმნიდა. ამ სპექტაკლშიც სიყვარული უსარგებლო, ქალი კი უუფლებო და დაუცველი აღმოჩნდა. პავლე ნობაძის ფილიპე ბარბაქაძეც, მოსალოდნელ კეთილდღეობას დახარბებული, უყოყმანოდ „ყიდდა“ თავის ნაშიერს და მხოლოდ თავს დატეხილი ტრაგედიის შემდეგ, ნაწილობრივ თუ ახერხებდა თავისი დანაშაულის გაცნობიერებას.

რეჟისორული კონცეფციის გასამძაფრებლად, დ. ხვთისიაშვილს სპექტაკლის პირველივე სცენებში შემოჰყავდა მის მიერვე შექმნილი ახალი პერსონაჟი - ქეთევან შერვაშიძის შეშლილი ქალი. მისი სახით, დამდგმელი გამოკვეთდა არსებულ გარემოში მომხიბვლელიობითა და პიროვნული ღირსებებით გამორჩეულ ქალთა ხვედრს, მათი ე.წ. „ბედნიერების“ მასშტაბს. მექანიკური თოჯინას მოძრაობებით გამორჩეული ეს თეთრსამოსიანი სევდიანი არსება, მთელი წარმოდგენის მანძილზე ესწრაფოდა ირინესთან სიახლოვეს, თანაგრძნობით ადევნებდა თვალყურს უეცრად „გაბედნიერებულს“, მის გაფრთხილებას თუ დაცვასაც ცდილობდა, მაგრამ უშედეგოდ. ქმრის უსაფუძვლო ეჭვებსა თუ ჰალუცინაციებს მსხვერპლშეწირული ირინე, სპექტაკლის მიწურულს თავადაც იმეორებდა სოფლის გიჟის მონოტონურ მოძრაობებს, რაც თვალნათლივ უჩვენებდა ქართულ საზოგადოებაში მომძლავრებულ, კეთილდღეობის მოსახელთებლად სხვათა ე. წ. „ბედნიერებით“ მანიპულირების მავნე ჩვევას.

დ. კლდიაშვილის მეორე პიესა „დარისპანის გასაჭირი“, პირველად 1904 წელს მსახიობთა ამხანაგობამ წარმოადგინა დიდი წარმატებით. მასში დარისპანს ვ. შალიკაშვილი თამაშობდა, კაროუნას მისი

მეუღლე - ნ. ჯავახიშვილი. „დარისპანის გასაჭირი“ თითქმის ყველა ქართულ თეატრში დაიდგა, მაგრამ არც მისი სცენური ინტერპრეტაციები არ შეესაბამებოდა დედანს. აღშფოთებული კოტე მარჯანიშვილი წერდა: „არ შეიძლება... „დარისპანის გასაჭირიდან“ ანეკდოტური ვოდევილის შექმნა, რადგან ეს პატარა ნაწარმოები გაჟღერთილია ნამდვილი ტრაგიკომით. ეს ტრაგიკომედია დგას სიცილისა და ცრემლის საზღვარზე“...⁹

ვასილ კიკნაძე მიიჩნევდა, რომ „დარისპანის გასაჭირი“ ქართულ დრამატურგიაში სრულიად ახალი მოვლენაა. მანამდე ქართული დრამატული მწერლობა ასე სრულყოფილ ტრაგიკომედიას არც იცნობდა“.¹⁰ დრამატურგი მინიმალური, ძუნწი, მაგრამ უაღრესად ტევადი ფორმებით ხატავდა გმირთა ხასიათებს. პიესაში კაროუნას მიერ მორჩილებითა და საყვედურით წარმოთქმული მხოლოდ რამდენიმე ფრაზა სრულყოფილად უჩვენებდა ამ ახალგაზრდა ქალის უსაზღვრო სევდას, გულსაკლავ სულიერ ტკივილსა და ჭირთა თმენის განსაცვიფრებელ უნარს. იგი იძულებული იყო დამორჩილებოდა მამის ნებას და ნაძალადევი ცეკვა-თამაშით მიეპყრო მისთვის არცთუ სასურველი კაცის ყურადღება.

პიესაში მცირეა ოსიკოს ტექსტიც. მისი ხასიათისა თუ ცხოვრებისეული პოზიციის გამოკვეთას ორსიტყვიანი ფრაზით აღწევს ავტორი. - „აქვს რამე?“ - კითხულობს ოსიკო და ამ ინტერესში ავლენს მთელ არსს თავისი ბუნებისა. ისიც ისევე, როგორც დ. კლდიაშვილის პერსონაჟთა უმრავლესობა, მხოლოდ თვითგადარჩენისთვის იბრძვის. ამ ახალგაზრდა კაცისათვის სულიერთია ვის შეირთავს ცოლად! მომგებიანი პარტიის შემთხვევაში იგი დანიშნულზეც იტყვის უარს, თუ მას მართლაც ჰყავს საცოლე.

კლდიაშვილის პიესებში გაჭირვებას ისე დაუთრგუნავს ადამიანი, რომ აღარავის აინტერესებს სიყვარული და მშვენიერება. ამიტომაც, თუ შემთხვევით ვიღაცას თვალში მოუვიდა ქალი, შეიძლება ირინე ბარბაქაძესავით გათხოვდეს. ეს კი, უბედურებას უქადის, რადგან ემყარება გაუცნობიერებელ სიხარბეს, გაჭირვებისაგან თავდახსნის სურვილს. გრიგოლ კიკნაძე აღნიშნავს: „დავით კლდიაშვილი თითქმის არ

⁹ დავით კლდიაშვილი, ქართველი მწერლები სკოლაში, 1988, გვ. 97.

¹⁰ კიკნაძე, თეატრი, 1973, გვ. 52.

გამოდის მსჯავრდებლის როლში... „რა ქნას, სხვა გზა აღარ აქვს!“ – აი, ამნაირად უდგება მწერალი თითქმის ყველა მოქმედ პირს“¹¹

მიხეილ თუმანიშვილი იყო პირველი რეჟისორი, რომელმაც 1964 წელს რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე წარმოდგენილ „დარისპანის გასაჭირში“ გამოკვეთა ავტორისეული ტრაგიკული ინტონაციები („პოეზიის საღამოს“ მეორე განყოფილებაში). ამავე პერიოდში ლილი იოსელიანმა დადგა იგივე პიესა გორის თეატრში და სპექტაკლის ჟანრად პირველმა განსაზღვრა ტრაგიკომედია. რეჟისორმა კაროუნას როლის შემსრულებლად დანიშნა მედეა ჯაფარიძე, რომლის მომზადებელი სილამაზე კატეგორიულად ემიჯნებოდა კაროუნას შეუხედავ, გონებაშებლედულ პერსონაჟად წარმოდგენის ტრადიციას. მ. ჯაფარიძემ ითამაშა კეთილშობილი, მიმტევებელი და კეთილმოხურნე არსება, რომელიც სულის სიღრმემდე იყო შეძრული მისი პიროვნების დამამცირებელი გარემოებებით, მაგრამ მამასაც თანაუგრძნობდა და ემორჩილებოდა. სპექტაკლში მსხვილი კურსივით იყო გამოკვეთილი ისიც, რომ ნორმალურ სოციალურ გარემოში კაროუნა და ოსიკო იდეალური წყვილი იქნებოდნენ. იგივე თემა იყო ხაზგასმული იმ სპექტაკლშიც, რომელსაც რუსთაველის თეატრში დგამდა ლ. იოსელიანი გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში. კაროუნას აქაც მ. ჯაფარიძე ასახიერებდა. ოსიკოს როლზე კი თენგიზ არჩვაძე იყო მიწვეული, რომლის აქტიორული შესაძლებლობები და მომხიბლავი სცენურობა კიდევ უფრო ათვალსაჩინოებდა რეჟისორის ჩანაფიქრს. დარისპანს აქაც ს. ზაქარიძე განასახიერებდა, მაგრამ გენერალური რეპეტიციის შემდეგ ს. ზაქარიძე მოულოდნელად გახდა ავად და მალევე გარდაიცვალა. ასე რომ ეს შესანიშნავი სპექტაკლი მაყურებელს არ უნახავს.

მრავალმა რეჟისორმა დადგა „დარისპანის გასაჭირი“, მაგრამ ახალი ხედვით წარმოდგენის თვალსაზრისით აღსანიშნავია: გოგი ქავთარაძის მიერ ქუთაისის თეატრში განხორციელებული „სურათები იმერეთის ცხოვრებიდან“ და რობერტ სტურუასა და ზაზა პაპუაშვილის დადგმული „დარისპანის გასაჭირი“.

გიორგი ქავთარაძემ ერთ სპექტაკლად გაიზარა „დარისპანის გასაჭირი“ და „ირინეს ბედნიერება“. წარმოდგენა „დარისპანის გასაჭირით“ იწყებოდა და „ირინეს ბედნიერებით“ მთავრდებოდა. მსახიობები კაროუნასა და ნატალიას (ნაზიმბროლა ნავროზაშვილი და დოდო ტაბატაძე) წარმოდგენდნენ დამამცირებელი ვითარებით შეურაცხყოფილ ახალგაზრდა ქალებად, რომლებსაც ნება და ძალა აღმოაჩნდათ არ დამორჩილებოდნენ სასიძოს „მოხიბვლის“ ყალბ რიტუალს.

გ. ქავთარაძის სპექტაკლში კაროუნა შრომისმოყვარე, ლამაზი, შოლტივით გოგო იყო, თავმდაბალი, მორიდებული და მამის მორჩილი... მზითვის მაძიებელი სასიძოთი სრულიად განხიბლული, ყველა ღონეს ხმარობდა, რომ არასასურველ საცოლედ ეჩვენებინა თავი გვარიანად შებერებული, საკმაოდ შეუხედავი ოსიკო ხარებაძისთვის. მართას საგანგებო შეძახილზე კაროუნა დემონსტრაციულად ანარცხებდა იატაკზე ოსიკოსთვის მისართმევი ჩაის ფინჯანსა და ლამბაქს და ბოჭავდა ნატეხებს. მას ნატალიაც ეხმარებოდა, კაბის კალთასაც უბერტყავდა და სოლიდარობას უცხადებდა მის ბედში მყოფს. მოგვიანებით, აღტაცებული კაროუნას სითამამით, ნატალიაც ამსხვრევდა ოსიკოსათვის მისართმევე ჭურჭელს. ქალები უსიტყვოდ აპროტესტებდნენ დამამცირებელ რიტუალს. „მორჩილება აქ მოჩვენებითი იყო“¹²

მეორე მოქმედება, ანუ „ირინეს ბედნიერება“ ფილიპე ბარბაქაძის ოჯახში გაჩაღებული ლხინით იწყებოდა. უგონოდ მთვრალი აბესალო სალამთაძე (მსახ. გ. ლელუცვა) ირინე ბარბაქაძეზე დაქორწინებას მოითხოვდა და გააფთრებული მიიწვედა როდამიშვილის მოსაკლავად. ირინე (მსახ. ნ. ჟორჯოლიანი) ემორჩილებოდა აბესალოსა და მამის ნებას. ის უხმოდ უწვდიდა თანხმობის ხელს გახელებულ აბესალოს და ამით გადაარჩინდა სატრფოს... სპექტაკლში გამოკვეთილი იყო საყვარელი ადამიანისთვის ქალის მიერ საკუთარი თავის მსხვერპლშეწირვის მოტივი.

რეჟისორის ინტერპრეტაციით აბესალოს შეუყვარდა ცოლი, მაგრამ თავი ვერ დააღწია ეჭვიანობას. ეს გაორება ტანჯავდა და აბოროტებდა. ამიტომაც კლავდა ირინეს. ცოლის ცხედართან იჩოქებდა და

11 ვასაძე, მოსწავლის წიგნი, 2008, გვ. 473.

12 ბაქრაძე, კინო, თეატრი, 1989, გვ. 359-374.

გაოგნებული ნათესავებისა და ამხანაგების თვალ-წინ მკლავებზე დასვენებულ ქალს მოწიწებით, დიდი სიყვარულით ემთხვეოდა. აკაკი ბაქრაძე წერდა: „თუ აქამდე ეს კაცი იწვევდა აღშფოთებას, ახლა გეცოდებოდა. ხედავდი, როგორ შეჭამა ადამიანი პატივმოყვარეობამ, უნებისყოფობამ“.¹³

XXI საუკუნის დასაწყისში (2006) რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი სპექტაკლის ჟანრი ექსცენტრიული ტრაგიკომედია გახდა. რ. სტურუასა და ზ. პაპუაშვილის დადგმაში კაროჟნა მისი შოუმენი მამასავით ლაღი იყო. ქეთი ხიტერი უსაზღვროდ თანამედროვე, მხიარული თინეიჯერის სახეს ქმნიდა. საყოველთაო მერკანტილიზმის ფონზე, კონტრასტულად ინფანტილური იყო. ის კარგად ამჩნევდა უფროსების მოჩვენებით კეთილზნეობას და ჯიუტად ეწინააღმდეგებოდა მათ. კაროჟნასაგან განსხვავებით, ნატალია დახვეწილი, ზრდილი ქალიშვილი გახლდათ.

ის გამოხატავდა ტრადიციულად ღირებულ იდეალს - მორჩილებას. მიუხედავად იმისა, რომ ისიც კარგად ამჩნევდა ოსიკოს ნამდვილ სახეს, მაინც ებმებოდა უფროსების მიერ წამოწყებულ თამაშში. ეკა მოლოდინაშვილის როლში ირონიზირდა დამყოლი ქალწულის იდეალი, რომელიც გამოხატავდა მზაობას, გამხდარიყო გაყალბებული ღირებულებების მსხვერპლი...

დ. კლდიაშვილისეული ორი პიესის წარმოდგენილ სასცენო ინტერპრეტაციებშიც მკაფიოდ იკვეთებოდა ქართველი ქალის ფსიქოტიპის სახეცვლილება. მათში ქალთა ტრაგიკული, უუფლებო მდგომარეობის ამსახველ პანორამას ენაცვლებოდა აქტიური ქალის როლი, თვითშეფასების ამაღლება, ტრადიციული ღირებულებების გადაფასების წადილი.

ბამოყენებული ლიტერატურა:

- ბარდაველიძე ბ., დავით კლდიაშვილის მხატვრული პროზა, თბ., 1981.
- ბაქრაძე ა., კინო, თეატრი, თბ., 1989.
- ვასაძე თ., ჩუბინიძე ნ., მუზაშვილი ნ., მოსწავლის წიგნი, თბ., 2008.
- კიკნაძე ვ., დავით კლდიაშვილის თეატრი, თბ., 1973.
- კლდიაშვილი დავით, ქართველი მწერლები სკოლაში, თბ., 1988.
- კლდიაშვილი ს., რჩეული პროზა, თბ., 1985.
- ქიაჩელი ლ., ტ. II, თბ., 1972.
- შალვა გაწერელია - 80, კრებული, თბ., 2011.

¹³ ბაქრაძე, იქვე.



1. სცენები შალვა გაწერელიას სპექტაკლიდან „ირინეს ბედნიერება“
(თბილისის მოზარდმეყრებელთა ქართული თეატრი, 1982)
SCENES FROM SHALVA GATSERELIA'S PLAY "IRENE'S HAPPINESS" (TBILISI GEORGIAN THEATER FOR
TEENAGERS, 1982).



2. სცენები ანდრო ენუკიძის სპექტაკლიდან „ირინეს ბედნიერება“
(რუსთაველის ეროვნული თეატრი, 1994)
SCENES FROM ANDRO ENUKIDZE'S PLAY "IRENE'S HAPPINESS" (RUSTAVELI NATIONAL THEATER, 1994).




3. სცენები დიმიტრი ხვთისიაშვილის სკამპთაკლიდან „ირინეს ბედნიერება“
(თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდმსახურებელთა ქართული თეატრი, 2013)
SCENES FROM DIMITRI KHVTISIASHVILI'S PLAY "IRENE'S HAPPINESS" (TBILISI NODAR DUMBADZE
GEORGIAN THEATER FOR ADOLESCENTS, 2013)



4. სცენები მიხეილ თუმანიშვილის
სკეპტიკლიდან „დარისპანის გასაჭირი“
(რუსთაველის ეროვნული თეატრი, 1964)

SCENES FROM MIKHEIL TUMANISHVILI'S PLAY
"DARISPAN'S TROUBLE"
(RUSTAVELI NATIONAL THEATER, 1964)





5. სცენები რობერტ სტურუასა და
ზაზა პაპუაშვილის სპექტაკლიდან
„დარისპანის გასაჭირი“
(რუსთაველის ეროვნული თეატრი,
2006)

SCENES FROM THE PLAY “DARISPAN
TROUBLE” BY ROBERT STURUA AND ZAZA
PAPUASHVILI
(RUSTAVELI NATIONAL THEATER, 2006)

KAROZHNA, NATALIA, IRENE AND OTHERS IN GEORGIAN THEATER

Tamar Kutateladze

Keywords: *Drama, Davit Kldiashvili, Interpretation, Theater*
Illustrations: *pp. 61-65*

Davit Kldiashvili was a unique phenomenon in the history of classical Georgian drama. He started a new era in Georgian drama, known later as New Drama. According to critics, brand new characters were created in Davit Kldiashvili's plays. Images of women accurately represent the fate of Georgian women of his time, their psychology, secret intentions, rebellion and struggle to protect their dignity.

David Kldiashvili's plays have been staged, in many theaters by directors of different generations, more often than most of their counterparts. Time constantly made corrections in the stage comprehension of the plays of the famous playwright. It was staged from the vaudeville genre to tragedy.

David Kldiashvili's first play "Irene's Happiness" was published in 1897 and enjoyed active feedback from critics. Almost everyone admitted that "this play was not like any other Georgian play." I. Nakashidze wrote that D. Kldiashvili belongs to the small number of writers who "have the stamp of originality.... they bring us spring"¹. A reviewer known under the pseudonym Khomleli called "Irene's Happiness" a "wonderful dramatic play"².

Georgian drama before Kldiashvili really did not know such characters. The central character of the play, Abesalo, is a completely new psychological type, full of inner contradictions, with dramatic feelings. Irene is also a new face, a victim of old-fashioned traditions and the degraded state of womanhood. The writer ironically calls Irene's and Abesalo's marriage "Irene's happiness" be-

cause this "happiness" will soon turn into misfortune, but it is in this process that Irene finds the strength and will to protest, to raise her voice against the abusive authority of her abusive husband, to defend her dignity.

Adequate theatrical interpretation of the tragicomic content and original form of the play remained an insurmountable task for a long time. Kote Marjanishvili was also dissatisfied with this. He thought that "Davit Kldiashvili's plays aren't fully understood by our directors.... Who couldn't see the tragedy in D. Kldiashvili's comedies, has no right to think that he laughs with Kldiashvili's laughter"³. Davit Kldiashvili himself was dissatisfied with the trend to reprimand the so-called Autumn Aznaurs. "I've never mocked anyone in my life," the author wrote, "I pity persons ruined by life and put in ridiculous situations... I write out of love for humans"⁴.

The first Georgian national writer admitted that his goal was to reflect only reality. Imprisoned with compassion for the suffering man, he demanded from the directors: "Let the oppressive darkness be depicted and the fact that a person is sacrificed... Avoid portraying some as victims, some as enemies; everyone is sacrificed to a dark life."⁵ "Many readers have laughed while reading my stories, and I, their writer, swear that many times I've abandoned the table and writing on it in bad temper"⁶...

D. Leo Kiacheli rightly remarked that Kldiashvili's works were characterized by acute satire and destructive irony: "Davit Kldiashvili is a favorite writer, but he is cruel at the same time.... He will not spare you and will replace

1 Kiknadze, Theater, Tb., 1973, p. 26.

2 Ibid, p. 31.

3 Davit Kldiashvili, Georgian writers in school, Tb., 1988, p. 97.

4 Kldiashvili, Selected prose, Tb., 1985. p. 73.

5 Kldiashvili D., t. II, Tb., p. 81.

6 Kiacheli, t. II, Tb., 1972, p. 140.

the blissful smile on your face with the greatest sorrow if the truth of life demands it”⁷. Geronti Kikodze called Davit Kldiashvili a “fanatic of reality.” Gr. Robakidze compared him to Dostoevsky. He was also compared to Gogol, Dickens, and Thackeray, although it is also clear that d. Kldiashvili is a highly original writer.

“Irene’s Happiness” was first staged on September 23, 1901, by Vaso Abashidze, at the permanent Georgian Theater. In the fall of the same year, Lado Meskhishvili also staged it at the Kutaisi Theater. Special attention is attracted by the plays by A. Enuidze and D. Khvtisiashvili among the plays staged based on “Irene’s happiness” in Georgian theater.

In the play by Shalva Gatsserelia “actress T. Lolashvili created an image of a proud, freedom-loving, fighter woman. It was impossible to gain his love by force. Therefore, insulted by the greed of her father, the passivity of her lover and offended by her own helplessness, she sought self-isolation in protest”⁸. She strongly objected to her humiliating attitude. (Artist M. Shvelidze, choreographer I. Zaretsky, composer D. Gurgenidze, Georgian Theater of Young Spectators, 1982). At first in the history of “Irene’s Happiness” staging, the director made the audience sympathetic to Abesalo’s drama. In the introspection of Abesalo’s thoughts staged using the means of the ballet art, the unconsciously enamored husband confused with suspects, seemed that naked Irene dancing with her ex-lover was cheating and mocking at him. His suffering and loneliness towards an indifferent wife led to sincere sympathy. He was sacrificing himself for this love. He was heartbroken.

During the 1990s, A. Enukidze staged a free interpretation of “Irene’s happiness” (artist Sh. Sheklashvili, musical decoration L. Sikmashvili, Rustaveli Theater, 1994). The play was outstanding thanks to its revolutionary courage. The novelty in it was the placement of the spectator onstage and the action developed in their epicenter. Better still, the characters and spectator changed roles in the finale of the performance. In the last scene, a closed curtain was opened and from the big hall of Rustaveli Theater, Irene by N. Kasradze was observing the events onstage, indicating the still widespread tragic situation of women. At the same time, it sought to attack the in-

different society willing to be amused.

“Street realism” was played onstage, completely reflecting the reality of that time. Abesalo by Z. Papuashvili was an armed daredevil cockerel of that time, rabid with impunity. Irene by Nino Kasradze was admiring him unconsciously. She was observing Abesalo’s jealousy with increasing passion and his masculine aggression was aggravating his acute feelings. If the rebellion of playwright’ Irene was a choice and fight against insult of dignity, Irene by N. Kasradze was becoming a victim of prevailing immorality and irreconcilable feelings.

“Irene’s Happiness” was also staged by Dimitri Khvtisiashvili (artist Lomgul Murusidze, musical decoration Zurab Gagloshvili, Nodar Dumbadze Theater of Young Spectators, 2013). Davit Khakhidze was playing Abesalo, the recognized groom of the village in a one-act play. He portrayed a greedy, cheerful, aggressive young man. In this play love was useless, and the woman was disenfranchised and vulnerable. Pavle Nozadze’s Philippe Barbakadze, greedy for the expected prosperity, didn’t hesitate to “sell” his offspring and he was able to realize his guilt only after the tragedy.

To sharpen the directorial concept, D. Khvtisiashvili introduced a new character created by him in the very first scenes of the play, Shervashidze’s crazy woman Ketevan. In her image, the director highlighted the plight of women distinguished by their charm and personal dignity in the current environment, the scale of their so-called “happiness.” Still a young, sad creature in white clothes with mechanical puppet movements, she was striving to be close to Irene throughout the performance, sympathetically watching the sudden “happiness,” trying to warn or protect her, but in vain. At the end of the play, “Irene,” a victim of her husband’s unfounded suspicions or hallucinations, repeated the monotonous movements of the village’s mad woman, which clearly showed the power of others in Georgian society for the sake of the well-being of others, so-called bad habit of manipulating with “happiness.”

Another play by D. Kldiashvili, “Darispan’s Trouble,” was presented by the actors’ comradeship in 1904 with great success. V. Shalikashvili played Darispan, his wife N. Javakhishvili played Karozhna. “Darispan’s Trouble”

7 Bardavelidze, *Prose*, Tb., 1981, p. 80.

8 Shalva Gatsserelia – 80, *Collection*, Tb., 2011, p. 51.

was also staged in almost every Georgian theater, but its scenic interpretations were not as relevant to the original. Outraged, Kote Marjanishvili wrote, "It's not allowed... to create anecdotic vaudeville from 'Darispan's Trouble,' because this small novel is impregnated with a real tragedy. This tragicomedy is on the border of laughter and tears...."⁹

Vasil Kiknadze considered "Darispan's Trouble" a completely new phenomenon in Georgian drama, "a perfect tragicomedy never seen before"¹⁰. The playwright painted the characters in minimal, stingy, but highly capacious forms. Only a few phrases uttered by Karozhna in obedience and rebuke perfectly illustrate the boundless melancholy, heartbreaking spiritual pain, and astonishing ability of this young woman to hear the plagues. She was forced to obey her father's will and to attract the attention of the man she didn't like by a forced dance.

Osiko's text is also small in the play. The author achieves the expression of his character or life position with a two-word phrase: "Has something?" asks Osiko and in this interest reveals the whole essence of his nature. He, like most of the characters by D. Kldiashvili, is struggling for survival. It doesn't matter whom this young man will marry! In case of the winning party he will refuse his engagement, if he really has a fiancée.

People in Kldiashvili's plays are so depressed that no one cares about love and beauty, so if anyone accidentally likes the woman, she may marry like Irene Babakadze. This, in turn, causes misery because it is based on unconscious greed, a desire to escape hardship. Grigol Kiknadze notes, "Davit Kldiashvili hardly plays the role of a convict... 'What can do he, he hasn't another way out!' This is how the writer stands for almost all characters".¹¹

Mikheil Tumanishvili was the first director to reveal the author's tragic intonations in "Darispan's Trouble" staged on the small stage of Rustaveli Theater in 1964 (in the second act of the "Poetry Evening"). "At the same time, Lily Ioseliani staged the same play at the Gori Theater and was the first to define tragicomedy as the genre of the play. The director contracted Medea Japaridze to play the role of Karozhna whose thrilling beauty categor-

ically departed from the tradition of portraying Karozhna as a mentally retarded character. M. Japaridze played a noble, forgiving and benevolent creature, who was deeply moved by the humiliating circumstances of her personality, but also sympathized and obeyed her father. The play also highlighted that in a normal social environment, Karojna and Osiko would have been the perfect couple. The same topic was highlighted in the play staged by L. Ioselian at Rustaveli Theater, in the early 1970s. M. Japaridze played Karozhna. Tengiz Archvadze was invited for Osiko's role whose acting skills and charming stagecraft made the director's intention clearer. S. Zakariadze played Darispan, but after the dress rehearsal S. Zakariadze suddenly became ill and died soon, so this wonderful play hasn't been seen by the audience".¹²

Many directors staged "Darispan's Trouble," but in terms of the new point of view of performance, Gogi Kavtaradze's "Images from Imereti life" and Robert Sturua's and Zaza Papuashvili's "Darispan's Trouble" are outstanding.

Giorgi Kavtaradze understood "Darispan's Trouble" and "Irene's Happiness" as one play. The show commenced with "Darispan's Trouble" and finished with "Irene's Happiness." The actresses represented Karozhna and Natalia (Nazibrola Navrozashvili and Dodo Tabatadze) as young women abused by degrading circumstances, with no will or strength to counter the fake ritual of "charming" the groom.

In the play by G. Kavtaradze, Karozhna was hard-working, beautiful, well structured, noble, modest and obedient to her father... Not charmed by the groom searching for the dowry, she tried her best to present herself as undesirable fiancée to the fairly old, quite unsightly Osiko Kharebadze. At Martha's extraordinary shout, Karozhna demonstratively slammed the cup of tea and plate to be served to Osiko on the floor and shook the pieces. Natalia also helped him, cleaned her dress and expressed solidarity with her in the same fate. Later, admiring Karozhna's courage, Natalia also smashed the utensils for Osiko. The women silently protested the humiliating ritual. "Obedience here was illusory".¹³

9 Davit Kldiashvili, *Georgian writers at school*, Tb., 1988, p. 97.

10 Kiknadze, *Theater*, Tb., 1973, p. 52.

11 Vasadze, *Student's textbook* Tb., 2008, p. 473.

12 Mumladze D., Kutateladze T., *History of Georgian Drama (manual)*, Tb., 2014.

13 Bakradze A., *Cinema, Theater*, Tb., 1989, p. 359-374.

The second act, or “Irene’s Happiness,” began with a celebration in the Philip Barbakadze’s family. Abesalo Salamtadze (actor G. Ghelekva), drunk out of his wits, was demanding marriage with Irene Barbakadze and furiously tried to kill Rodamishvili. Irene (actress N. Zhorzholiani) was obeying Abesalo’s and her father’s will. She silently pulled her hand of contest to the furious Abesalo and tried to save her lover.... The play highlighted the self-sacrifice motif of the woman for her lover’s sake.

According to the director, Abesalo fell in love with his wife, but could not escape the jealousy. This splitting was torturing and embittered him. That’s why he killed Irene. He was kneeling at his wife’s corpse, and he was kissing the woman resting on his arms with a great love in front of astonished relatives and comrades. Akaki Bakradze wrote, “If this man provoked anger before, now he was arousing pity. You saw how he was eaten by vainglory and lack of will”.¹⁴

In the early 21st century (2006), the genre of the play shown at Rustaveli Theater was eccentric comedy.

Karozhna was free-spirited like her showman father in the staging of R. Sturua and Z. Papuashvili. Katie Khitiri created the image of extremely modern, joyful teenager. “On the background of the universal mercantilism, she was infantile in contrast. She was well aware of the apparent kindness of the elders and stubbornly opposed their intentions. Unlike Karozhna, sophisticated, grown-up Natalia embodied a traditionally valuable ideal – obedience. Even though she could see Osiko’s true face well, and she was still in the game initiated by the seniors. However, in the embodiment of Eka Molodinashvili, the ideal of a submissive virgin was ironized, her readiness to become a victim of falsified values....

In the presented scenic interpretations of D. Kldiashvili’s two plays, the change in the Georgian woman’s psychological type was clearly visible. In them, the panorama depicting the tragic, disenfranchised status of women was increasingly replaced by the role of an active woman, raising self-esteem, an attempt to re-evaluate traditional values.

REFERENCES:

1. Kiknadze V., Davit Kldiashvili’s theater, Tb., 1973.
2. Davit Kldiashvili, Georgian writers at school, Tb., 1988.
3. Kldiashvili S., Selected prose, Tb., 1985.
4. Kiacheli L., t. II, Tb., 1972.
5. Bardavelidze B., Artistic prose of Davit Kldiashvili, Tb., 1981.
6. Shalva Gatsserelia – 80, Collection, Tb., 2011.
7. Vasadze T., Chubinidze N., Muzashvili N., Student’s book, Tb., 2008.
8. Bakradze A., Cinema, theater, Tb., 1989.

14 Tbt.